სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის *306/01-01, 14/11/2024* ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის და 13/12/2024 134/2024 თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილების მეორე პუნქტით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის შემაჯამებელი

ოქმი №4

13 იანვარი, 2025

თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2,
თსუ X კორპუსი, ოთახი № 403.

სხდომას ესწრებოდნენ: ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობაია (კომისიის თავმჯდომარე), ასისტენტ პროფესორი ნინო ლობჟანიძე (კომისიის მდივანი), პროფესორი დალი სეხნიაშვილი (კომისიის წევრი), ასისტენტ პროფესორი თეიმურაზ გოგსაძე (კომისიის წევრი).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №: *306/01-01, 14/11/2024* ბრძანებით გამოცხადებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში (მიკროეკონომიკის კათედრა - 1 საშტატო ერთეული, ასისტენტ პროფესორი, კატეგორია „ა"), შეფასების პირველი და მეორე ეტაპის შედეგების განხილვა და ურთიერთშეჯერება. გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის მერაბ ხოხობაიას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის №:** *306/01-01, 14/11/2024* ბრძანებით გამოცხადებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში (მიკროეკონომიკის კათედრა - 1 საშტატო ერთეული, ასისტენტ პროფესორი, კატეგორია „ა") განაცხადი შემოტანა 1 კანდიდატმა ნიკოლოზ ფხაკაძემ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით წერილობითი დადასტურებით გადმობარებული (იხ. მიღება-ჩაბარების აქტი) დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დეტალურად შეისწავლეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები.

ნიკოლოზ ფხაკაძემ შეფასების პირველ ეტაპზე **I კატეგორიაში** ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება ,,კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს"; **II კატეგორიის მიხედვით**, კონკურსანტ **ნიკოლოზ ფხაკაძის** პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, ასევე შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. საერთო შეფასება II კატეგორიის მიხედვით მიიღო -,,მაღალი". **III კატეგორიის მიხედვით** სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - ორივე მუხლისთვის: ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას, ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას, კომისიამ მიანიჭა შეფასება „საშუალო". **IV კატეგორიის მიხედვით:** სხვა სახის აქტივობა *(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვ.).* კომისიამ კონკურსანტს IV კატეგორიის ორივე მუხლში - ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას მიანიჭა შეფასება „საშუალო".

კონკურსანტმა ნიკოლოზ ფხაკაძემ 2004-2008 წელს დაამთავრა **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი მათემატიკის პროფილით**. 2008-2010 წელს სწავლა განაგრძო **ვენის ტექნოლოგიების უნივერსიტეტში და მოიპოვა გამოთვლითი მეცნიერების მაგისტრის ხარისხი**. 2011-2013 წელს მოიპოვა ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში**. 2015-2021 წელს მოიპოვა დოქტორის ხარისხი **ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში**. სადისერტაციო თემაა - ***,,პოლარიზაცია კომუნიკაციურ თამაშებში"*** . კონკურსანტის მიერ დაცული სადისერტაციო თემატიკა სრულად არის შესაბამისობაში საკონკურსო აკადემიურ პოზიციასთან.

საკონკურსო კომისიამ პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ კონკურსანტი ჩართულია საკონკურსო პროფილის კურსების განხორციელებაში როგორც ბაკალავრიატის (**პოლიტიკური ეკონომიკა, ინდუსტრიული ორგანიზაცია და კონკურენტული სტრატეგია, თამაშთა თეორია, მიკროეკონომიკა 1,2, კალკულუსი 1,2, მათემატიკური ლოგიკა**), ასევე, მაგისტრატურის საფეხურზე (**საკითხები თამაშთა თეორიაში, ინდუსტრიული ორგანიზაცია, მიკროეკონომიკა 1,2,3, სტატისტიკა 1,2, მათემატიკა**). უნდა აღინიშნოს, რომ **კონკურსანტს აქვს აშშ-ი სწავლების გამოცდილება, კერძოდ, ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში პროფესორის ასისტენტის პოზიციაზე**. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები **შეესაბამება 2020 წლის 24 თებერვლის** აკადემიური საბჭოს №16/2020 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ("სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ"). აღსანიშნავია, რომ კონკურსანტი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მოწვეული ლექტორია და მას ხანგრძლივი კავშირები გააჩნია ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან. აკადემიური პოზიცია გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს პროგრამების მდგრადობას და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის განვითარებას.

კონკურსანტი აქტიურად მუშაობს სამეცნიერო მეთოდური საქმიანობის კუთხით. მას შემუშავებული აქვს დამხმარე სალექციო მასალები შემდეგ კურსებში: ინგლისურენოვანი სალექციო კონსპექტები და სავარჯიშო ამოცანები და მათი ამოხსნები „პოლიტიკურ ეკონომიკაში" (Political Economy) ბაკალავრებისთვის, ინგლისურენოვანი სალექციო კონსპექტები და სავარჯიშო ამოცანები „ინდუსტრიული ორგანიზაციასა და კონკურენტულ სტრატეგიაში" (Industrial Organization and Competitive Strategy) ბაკალავრებისთვის, ინგლისურენოვანი სალექციო კონსპექტები და სავარჯიშო ამოცანები „თამაშთა თეორიაში", ინგლისურენოვანი სალექციო კონსპექტები, სავარჯიშო ამოცანები მიკროეკონომიკა 3-ში (Microeconomics 3), ინგლისურენოვანი სალექციო კონსპექტები, სავარჯიშო ამოცანები და მათი ამოხსნები საზოგადოებრივი ეკონომიკაში (Public Economics), ინგლისურენოვანი სალექციო კონსპექტები, სავარჯიშო ამოცანები და მათი ამოხსნები სტატისტიკაში (Statistics). წარმოდგენილი სასწავლო მეთოდური მასალა სრულად არის შესაბამისი ვაკანსიის პროფილთან და ხელს შეუწყობს სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას.

კონკურსანტ ნიკოლოზ ფხაკაძის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილ ნაშრომში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული პრობლემის აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია, სამეცნიერო კვლევის მიზანი და სამეცნიერო კვლევის შედეგები. სამეცნიერო ნაშრომი ღირებულია როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით. შესაბამისად, შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი ადასტურებს კონკურსანტის მაღალ სამეცნიერო პოტენციალს.

გასაუბრების ეტაპზე შეფასდა კონკურსანტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა. კომისიამ გადაამოწმა კონკურსანტის მიერ სამოტივაციო წერილში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაცია. გასაუბრებაზე პრეტენდენტმა ნიკოლოზ ფხაკაძემ მკაფიოდ და გასაგებად წარმოადგინა კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებით ხედვები. დაასაბუთა სამეცნიერო კვლევითი პრიორიტეტები, კვლევის თემატური მიმართულებები (აუდიო ჩანაწერი თან ერთვის ოქმს). გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტს რეალურად აქვს საგნობრივი ცოდნა და უნარები გაუძღვეს ვაკანსიის შესაბამის სასწავლო კურსებს. კონკურსანტის მიზანდასახულობა და მაღალი მოტივაცია ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერებას.

თსუ-ში მოქმედი რეგულაციის თანახმად, ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისიამ მოამზადა ბიულეტენები (თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, დანართი 5). ბიულეტენში აისახა შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე

პრეტენდენტის სახელი და გვარი. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით. დამატებითი ბიულეტენი არ დამზადებულა. კომისიის წევრების მიერ დაილუქა საარჩევნო ყუთი და ლუქი დამოწმდა საკონკურსო კომისიის წევრების ხელმოწერებით.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ დალუქული საარჩევნო ყუთი გაიხსნა და კომისიის წევრებმა დათვალეს პრეტენდენტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

1. მიკროეკონომიკის კათედრა
   ასისტენტ პროფესორი - 1 საშტატო ერთეული - კატეგორია „ა“
   ნიკოლოზ ფხაკაძე - მიღებული ხმების რაოდენობა 4.

საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია, ვინაიდან იგი ემყარება კონკურსანტის პროფესიული უნარ-ჩვევების, მონაცემების, მიღწევების გაცნობა/დაზუსტებას. კონკურსანტის განათლება და სამეცნიერო ხარისხი სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან. კონკურსანტ ნიკოლოზ ფხაკაძეს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობა რომელიც უკავშირდება ეკონომიკის მიმართულებას დაეხმარება ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სასწავლო კურსებს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევაში. კონკურსანტის მიერ შემუშავებული მეთოდური მასალები მნიშვნელოვანი წინაპირობაა სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარების კუთხით. კონკურსანტის საზღვარგარეთ სწავლების გამოცდილება როგორც მეთოდოლოგიური, ასევე, შინაარსობრივი თვალსაზრისით ხელს შეუწყობს კონკრეტულ სასწავლო კურსებში (**პოლიტიკური ეკონომიკა, ინდუსტრიული ორგანიზაცია და კონკურენტული სტრატეგია, თამაშთა თეორია, მიკროეკონომიკა 1,2, კალკულუსი 1,2, მათემატიკური ლოგიკა**), ახალი ცოდნის ტრანსფერს. რაც პოზიტიურად აისახება თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პროგრამების მდგრადობაზე და გრძელვადიან დინამიკაში განვითარებაზე. გარდა ამისა, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი ღირებულია როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით. შესაბამისად დასტურდება კონკურსანტის მაღალი სამეცნიერო პოტენციალი და იგი მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს თსუ სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებაზე.

ერთხმად დაადგინეს: 1.1. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული სამუშაოს თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების („სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“) შესაბამისად დაადგინა, რომ სამუშაოები განხორციელდა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად;

1.2. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების („სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“) შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებ-გვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე;

1.3. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

1.4. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების („სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“) შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმი საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. პრეტენდენტმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქუჩა #2 (თსუ მე-10 კორპუსი), ოთახი #310.

კომისიის თავმჯდომარე /ასოცირებული პროფესორი მ. ხოხობაია/

კომისიის მდივანი /ასისტენტ პროფესორი ნ. ლობჟანიძე/

კომისიის წევრი /პროფესორი დ. სეხნიაშვილი/

კომისიის წევრი /ასისტენტ პროფესორი თ. გოგსაძე/